

05/01/2016

N 3

3-01-2-201601051107



სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ გრიგოლ კაკაურიძეს

ბატონო გრიგოლ,


მოგახსენებთ, რომ შპს „ენერგოტრანსი“ ახორციელებს ქსანი-სტეფანწმინდის შემავრთველი 500 კვ. ელ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მთავარი 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოებას, სტეფანწმინდას (ყაზბეგის) მახლობლად მიმდინარეობს რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელთა გეგმური ჯამური დადგმული სიმძლავრე შეადგენს 400-500 მგვტ-ს. ამ სიმძლავრის საქართველოს ენერგოსისტემაში ინტეგრირებისა და რუსეთის მიმართულებით ელექტროენერგიის გადადინების გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება ახალი 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ქს „ქსანი“-დან სტეფანწმინდამდე. ხაზის სიგრძე დაახლოებით 100კმ-ია. დაგეგმილია ხაზის აშენება 500 კვ გაბარიტში. პირველ ეტაპზე იმუშავენ 110 კვ ძაბვაზე, რაც უზრუნველყოფს სტეფანწმინდის მიმდინარე ტერიტორიაზე მშენებარე ჰესების მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის ინტეგრირებას საქართველოს ენერგოსისტემაში, კერძოდ ქს ქსანის 110 კვ ფრთაზე. პერსპექტივაში სტეფანწმინდის მიმდინარე ტერიტორიაზე 500/110 კვ ქს მშენებლობის და რუსეთის სამხრეთ რეგიონებში 500 კვ-იანი ქსელის განვითარების პარალელურად, მოხდება ხაზის გადაყვანა 500 კვ-ზე, რაც შექმნის დამატებით 500 კვ-იან კაპაქს რუსეთის ენერგოსისტემასთან, ხოლო კავკასიის რეგიონში გაზრდის ელექტროენერგიის ნაკადებს.

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელება კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს ელექტროსისტემის გადამცემი ინფრასტრუქტურის საიმედოებასა და სტაბილურობას.

შესაბამისად, გთხოვთ, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად გასცეთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (1 სტადია).

განცხადებას თან ერთვის:

1. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა პრესბული მდგომარეობით.
2. შპს „ენერგოტრანსის“ (განცხადებლის) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
3. არქეოლოგიური კვლევის ანგარიში და ელ. ვერსია.



4. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომებითი ნახაზები.
5. ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებული 500 კვ. ულ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის დაზუსტებულ კოორდინატებს Slip დაილუბს.
6. ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებული 500 კვ. ულ. გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ბანერი.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი

